პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი — Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

შაბათი, 9 დეკემბერი, 1989 წელი ● № 50 (2875) ● СУББОТА, 9 ДЕКАБРЯ 1989 г.

ПРАКТИКА ПЕРЕСТРОЙКИ

## Энергия обновления

**ИДЕТ** уже третий месяц, как Пленум ЦК КПСС (19 сентября), принял решение о созыве очередного XXVIII съезда партии. Время летит быстро. Вчерашние скептики, выражавшие сожаление, что съезд состоится только через год, в октябре 1990-го, сегодня вздыхают: дни уплывают, а многое надо успеть сделать.

Совершенно ясно, что именно сегодня партия держит экзамен перед народом и историей, итоги которого предстоит подвести на XXVIII съезде. Такой экзамен держит и каждый коммунист. Некоторые его уже не выдержали... На одном из «неформальных» собраний в качестве доказательства «кризиса в партии» приводились примеры сдачи некоторыми коммунистами партийных билетов. Да, признаем, такие случаи есть, их не единицы. Но напомним, что речь идет о многомиллионной партии. Да и следует ли обозначить это знаком минус?

На том же собрании другой оратор справедливо заметил, что сегодня для выхода из партии мужества не требуется, никакие репрессии за это не грозят — наоборот, мужество требуется для того, чтобы активно работать в партии, когда общество захлестывают страсти и эмоции.

Еще в 1920 году, выступая на II Конгрессе Коминтерна, Ленин выражал опасения по поводу чрезмерного расширения партийных рядов, ибо к правящей партии неминуемо стремятся примазаться карьеристы и проходимцы. Известно, что Ленин всемерно заботился о самоочищении партии, отвергая при этом репрессивные методы.

Перестройка получила в наследство состав партии, в основном сложившийся в период застоя.

От многих чуждых ей элементов партия в ходе перестройки уже избавилась, от других ей еще предстоит освободиться. И процесс этот — необходимый, оздоровительный.

Конечно, не всех тех, кто сдал свои партбилеты, следует относить к карьеристам или проходимцам. Некоторые просто разуверились, другие запаниковали, третьи не смогли найти своё место в сложнейшей работе по перестройке. Что ж, слабые духом в трудных ситуациях не всегда бойцы...

Во весь рост встали проблемы теоретического обоснования партийной жизни в условиях перестройки. Однозначно мнение коммунистов о необходимости разработки новых устава и программы КПСС. Напомню, что XXVII съезд партии (1986 год) по докладу М. С. Горбачева внес изменения в действующий устав КПСС и принял новую редакцию программы (третья программа партии принималась XXII съездом КПСС в 1961 году). Обновляющееся общество нуждается в обновленной партии.

Наше время оказалось богатым на крупнейшие события не только в жизни КПСС, но и других коммунистических и рабочих партий социалистических стран. Новые ситуации, наиболее ярко давшие о себе знать в Польше и Венгрии, поиск нетрадиционных путей, который ведется и другими партиями, — все это вызывает в мире острейший интерес. Иные усматривают в происходящих процессах чуть ли не кризис коммунистических идей. А дело, по сути, в том, что коммунисты не останавливаются перед необходимостью решительной ломки старых схем, выступают против устоявшихся догм во имя блага общества, народа.

**Л. КОРНЕШОВ.**
(АПН)



**მეექვსე** წელია, რაც ქუთაისის ავტოინსპექციის მოტომექანიზებულ დანაყოფში მუშაობს მილიციის სერჟანტი ნოდარ დვალიშვილი. იგი მასზე დაკისრებულ მოვალეობას ასრულებს პირნათლად. ალბათ ამან განაპირობა ის ფაქტიც, რომ როგორც მოწინავე და მცოდნე მუშაკს, პრაქტიკის გასავლელად მიამაგრეს რესპუბლიკის ავტოინსპექციის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული ქუთაისის სარაიონთაშორისო სანიტარული სპეციალური ავტობაზის მძღოლი გია ხარაბაძე. პრაქტიკის გავლის შემდეგ იგი [illegible] დანაყოფში ჩაირიცხა, დღეს იგი უკვე დამოუკიდებლად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

ეს ფოტო გადაღებულია იმ დროს, როცა გ. ხარაბაძე პრაქტიკას გადიოდა ნ. დვალიშვილის ხელმძღვანელობით.

ბ. მგალობლიშვილის ტექსტი და ფოტო.

## СЛАГАЕМЫЕ УСПЕХА

**С полным напряжением приходится работать в нынешнем году органам внутренних дел республики, в том числе и сотрудникам столичной милиции. Трагические апрельские события, активизация общественно-политических процессов существенно осложнили и без того непростую оперативную обстановку, потребовали от сотрудников милиции полной мобилизации всех сил и средств. Не все, скажем прямо, справились с резко возросшими нагрузками и усложнившимися задачами, но ряд райотделов, коллективы которых умело ориентируясь в складывающейся обстановке работали дружно и целеустремленно, сумел не только стабилизировать, но и улучшить многие показатели оперативно-служебной деятельности. В полной мере сказанное можно отнести и к работе одного из лучших на сегодняшний день в столице республики Кировского РОВД.**

**С САМОГО** начала года коллективом отдела, несмотря на периодически возникавшие экстремальные ситуации, выдерживается четкий и планомерный ритм работы, позволивший добиться улучшения показателей на целом ряде важных направлений борьбы с преступностью. Так, за 11 месяцев нынешнего года, по сравнению с аналогичным периодом прошлого года, достигнуто снижение числа таких тяжких видов преступлений, как попытки убийства, изнасилования, хищения государственной собственности. В актив сотрудников отдела можно отнести и большее количество выявленных фактов незаконного хранения огнестрельного оружия.

Определенные успехи достигнуты и в борьбе с наркоманией — выявлено два факта реализации наркотиков, 12 лиц (на три больше, чем в 1988 г.) привлечено к уголовной ответственности. Благодаря умелым и оперативным действиям подразделений уголовного розыска и БХСС своевременно раскрыт ряд сложных и запутанных преступлений. Так, оперативно были задержаны преступники, совершившие в сентябре убийство с целью ограбления. По «горячим следам» раскрыто и ограбление, происшедшее в первых числах ноября, когда трое неизвестных лиц в саду по ул. Горгасали под угрозой ножа отобрали у Владимира О. 4 тысячи рублей, полученные им от продажи видеомагнитофона. Уже на второй день оперативной группой под руководством начальника отдела личности грабителей и их местонахождение были установлены.

(Окончание на 2-й стр.).

## საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის მშენებლობის გზაზე

**არის თუ არა ჩვენს სინამდვილეში არსებული კოოპერატივები ზუსტად ადეკვატური იმ სისტემისა, რაც საერთოდ კოოპერაციული საკუთრების შინაარსშია ჩადებული, რატომაა დღეს ამ ფორმის ასეთი ბუმი საქართველოში, როგორ და რა მეთოდით უნდა ფიგურირებდნენ ამ ეტაპზე სამართალდამცავი ორგანოები, საერთოდ არის თუ არა კოოპერატივი ეკონომიკურად დამოუკიდებელი საქართველოს მშენებლობის შესაფერისი საშუალება. ამ საკითხის გარშემო ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ახლახან ესაუბრა საქართველოში შექმნილი წარმოებისა და მომსახურების სფეროს კოოპერატორთა რესპუბლიკური კავშირის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს მ. ზანკალიანს.**

**ჩვენი** საზოგადოებრიობისათვის დღეს მოულოდნელობას არ წარმოადგენს ახალი კავშირების შექმნა. სადღეისოდ მათი რიცხვი იმდენად გაზრდილია, ძნელია იმსჯელო თვითოეული მათგანის შინაარსზე, ხასიათზე და მიზანზე. მაგრამ კოოპერატორთა რესპუბლიკური კავშირის შექმნა რომ აუცილებლობით იყო გამოწვეული — უდავოა. რესპუბლიკის ეკონომიკაში კოოპერატივებმა უკვე გარკვეული წვლილი შეიტანეს. დღეისათვის საქართველოში რეგისტრირებულია 8,0 ათ. მეტი კოოპერატივი, რომელთაგან 5100 უკვე ფუნქციონირებს. მათ მიერ გამოშვებული პროდუქციისა და მომსახურების ღირებულებამ ცხრა თვეში შეადგინა 726 მილიონი მანეთი, წლიურად ის ალბათ მიაღწევს მილიარდს (ეს ციფრი უტოლდება რესპუბლიკის 2-3 საშუალო სამინისტროს მოცულობას.) ვინაიდან კოოპერაციული მოძრაობის ინტერესების დამცველი რგოლი დღემდე არ არსებობდა ამიტომ საზოგადოებრიობის გარკვეულ ნაწილს კოოპერაციაზე უარყოფითი აზრი ჩამოუყალიბდა, საჭირო გახდა საკუთრების ამ ფორმის დაცვა, მისი სრული არსისა და შინაარსის დახვეწა და მასებამდე დაყვანა. სწორედ ამან განაპირობა ზემოხსენებული კავშირის შექმნა, რომელსაც აქვს სამართავი აპარატი, საბჭო და გამგეობა. არ არსებობს მსოფლიო პრაქტიკაში სიახლე, რომელსაც საწყის ეტაპზე არ ახლდეს ხარვეზები. მხოლოდ გარკვეული დრო და ნებისყოფაა საჭირო მის დასახვეწად. კავშირის წევრებს, მის უშუალო ხელმძღვანელებს ღრმად სწამთ, რომ ეს მოძრაობა მიაღწევს მის მიზანს, მიიღებს საბოლოო სრულყოფილ სახეს. სწორედ საკუთრების კოოპერაციული ფორმა უზრუნველყოფს პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების შეხამებას, ქონების გაუპიროვნებლობის მოსპობას, საბოლოო ჯამში უნდა მივიღოთ პროდუქციის სიუხვე, მაღალი ხარისხი, მაღალი შრომისნაყოფიერება, მოგება და სხვა ეკონომიკური კატეგორიები, რომლებიც ასე „გულმოდგინებით" იყო უარყოფილი ჩვენი საზოგადოების მიერ 70 წლის განმავლობაში, მაგრამ ყველაფერი ეს მაშინ მოხდება თუ წარმოებისა და მომსახურების სფეროში დავნერგავთ ცივილიზებულ კოოპერაციას. რაშიც იგულისხმება, შრომით, პროფესიული ცოდნით, ჭკუითა და გონებით გაკეთებული საქმიდან მიღებული კანონიერი შემოსავალი. როგორც მ. ზანკალიანმა აღნიშნა — შრომა გულისხმობს არა მარტო ფიზიკურ დატვირთვას, არამედ გონებრივ სრულყოფასაც. — იცით, არ უნდა გვიკვირდეს, როცა კოოპერატორებს ანაზღაურება მაღალი აქვთ, 500-600 მანეთი. ის, ვინც დიდი კომერციული ნიჭის წყალობით ახერხებს ამას, ვფიქრობ გასაკიცხი არ არის. თუმცა ალბათ არ ვიქნებით სწორი არ ვაღიაროთ, რომ მათ გვერდით არიან ისეთებიც, რომელთაც კოოპერაცია სპეკულაციის იარაღად გაუხდიათ, მოგებას კონიუქტურის წყალობით იღებენ და არა მაღალპროფესიონალური შრომით.

თვით სათაური — წარმოებისა და მომსახურების სფერო, მეტყველებს კავშირის შინაარსზე და ხასიათზე, ე. ი. მისი ამოსავალი წერტილია პროდუქციის წარმოება. მაგრამ ამ მოძრაობას სადღეისოდ აქვს უამრავი ხარვეზები და პრობლემები, რაც ნაწილობრივ განპირობებულია იმით, რომ კოოპერაცია აღმოცენდა დეფიციტის პირობებში.

საერთოდ ყველა კოოპერაციულ მოძრაობაში ჩადებულია თავისუ-

(დასასრული მე-2 გვ.-ზე).

БРАТ, ТЫ БРАТОМ СИЛЕН

# НЕЗАБЫВАЕМЫЕ ВСТРЕЧИ НА ЗЕМЛЕ АРМЕНИИ

**Ровно год прошел с тех пор как всю нашу страну, весь мир потрясла весть о страшном бедствии — землетрясении в Армении. Боль и скорбь наших братьев разделили вместе со всем населением Грузии и сотрудники МВД республики. Разыгравшаяся стихия изменила многие планы, в том числе и намеченное политотделом МВД Армении проведение в рамках III Всесоюзного фестиваля народного творчества традиционных обменных мероприятий под девизом «Мы живем в семье единой», призванных способствовать глубокому изучению истории культуры народов страны, улучшению интернационального воспитания работников ОВД. Однако запланированная встреча с грузинскими коллегами несмотря ни на что состоялась. С 27 ноября по 3 декабря текущего года по приглашению руководства МВД Армении в Неделе Грузии в братской республике участвовала группа сотрудников МВД ГССР. Своими впечатлениями об этой поездке делится руководитель делегации — старший инструктор группы культурно-массовой работы политотдела МВД ГССР капитан внутренней службы В. ТАТАЕВА.**





**ОБМЕННЫЕ** мероприятия по ознакомлению с творческими достижениями самодеятельных исполнителей и художественных коллективов систем МВД наших двух братских республик начались еще в рамках II Всесоюзного фестиваля народного творчества 1986—87 гг. Однако обеспечение программы нынешней Недели Грузии в МВД Армении превзошло все наши ожидания.

В Армению выехала делегация в составе 20 человек, которая представила на суд наших армянских коллег, населения республики интересную и разнообразную программу. В нее вошли две передвижные персональные выставки работ изобразительного и декоративно-прикладного искусства сотрудников — старшего преподавателя ТФМВШМ МВД СССР полковника милиции Г. Шавгулидзе и пожарного ВПЧ-43 ОВПО-4 г. Рустави сержанта внутренней службы М. Маргишвили.

Вторая часть была представлена концертной программой, которую составили выступления солистов ансамбля грузинского народного танца «Мхедрули» ДК им. Ф. Э. Дзержинского МВД ГССР под руководством народного артиста Грузии М. Кобешавидзе, причем, Х. Гегешидзе, Н. Бохашвили, Д. Макаришвили с успехом исполняли грузинские эстрадные песни.

После показа программы в г. Ереване, где 28 ноября в Доме культуры им. Г. Атарбекяна МВД Армении состоялось торжественное открытие Недели Грузии в республике, члены делегации выезжали в Разданский район и в г. Камо, где встречались и выступали перед населением этих районов во Дворце пионеров и районом доме культуры.

1—3 ноября мы находились в зоне бедствия. Встречались с сотрудниками и жителями г.г. Ленинакана, Кировакана, Степанавана, Спитака, Калинино. Особенно запомнилось всем пребывание в г. Спитаке, трогательные встречи и беседы с работниками РОВД, многие из которых в результате землетрясения потеряли своих родных и близких. Делегация возложила цветы на развалины одного из многоэтажных домов, ставшего братской могилой его жителей. И в эти минуты было особенно ощутимо, что невосполнимые людские потери смягчить может только человеческое участие.

Во время всех встреч, бесед, выступлений со стороны представителей ОВД, населения Армении особенно отмечалась и подчеркивалась систематическая братская помощь и по сегодняшний день со стороны населения Грузии, первой пришедшей на помощь пострадавшим от стихии. Все просили передать слова благодарности и пожелания благополучия грузинскому народу.

Руководство МВД Армении за активное участие членов делегации в проведении Недели Грузии в братской республике, их вклад в дело интернационального воспитания личного состава отметило приказом о поощрении самодеятельных исполнителей и солистов ансамбля «Мхедрули» почетными грамотами. За высокое художественно-исполнительское мастерство, участие в организации культурного досуга трудящихся и строителей, восстанавливающих город, руководство Кироваканского райисполкома наградило почетной грамотой группу ансамбля грузинского народного танца «Мхедрули» ДК МВД ГССР им. Ф. Э. Дзержинского.

У всех членов делегации неизгладимое впечатление оставил каждый час пребывания на многострадальной армянской земле, и в преддверии годовщины трагедии нас переполняло чувство скорби перед памятью погибших и преклонения перед мужеством оставшихся в живых, с помощью друзей возрождающих из руин свою любимую землю. Уезжая из Армении, все члены нашей делегации выражали сердечную благодарность сотрудникам аппарата политического отдела МВД республики, руководимого полковником милиции Р. Асланяном и майором милиции В. Габриеляном, секретарю партийного комитета министерства подполковнику милиции Э. Чибукияну, коллективу ДК им. Г. Атарбекяна, возглавляемого М. Адамяном, руководству Ленинаканского и Кироваканского УВД, Калининского, имени Камо, Разданского, Спитакского, Степанаванского ГРОВД, всему населению городов и районов, которые посетила делегация.





Мы увозили с собой теплые воспоминания о гостеприимном армянском народе, полные желания в следующую встречу с коллегами из Армении — уже на грузинской земле — ответить им тем же пониманием, заботой, дружбой, способствующими дальнейшему укреплению наших вековых добрососедских, братских связей, контактов.

Фото Р. Антоняна.

---

— **იხ** თუ იცი, რომ დიდიკოს დასაფლავებიდან ერთი თვის შემდეგ გურამ რურუა უკვალოდ გაქრა?

— მაგი არ გამიგია მე, პირველად მესმის თქვენგან.

— კიდევ ვინა ყავს დიდიკოს ისეთი ამხანაგი, რომელსაც იგი ენდობოდა?

— ასეთი... — მხრები აიჩეჩა პატიმარმა.

— კარგად გაიხსენე, ყოველივე ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საქმისათვის.

— ჩვენს ქალაქში თითქმის არავინ... თუმცა... კი, ყავდა კიდევ ერთი თანაკლასელი მეგობარი — ასლან ჯინჭარაძე, ბათუმიდანაა. ბათუმში რა ადგილას ცხოვრობს არ ვიცი, მარა ის კი ვიცი, რომ ხარკოვში დიდიკო, გურამი და ასლანი ერთად ცხოვრობდნენ ქირით, კერძო ბინაში. ეს მათ აქვთ ჩემთან ნათქვამი. ასლანი ძალიან ჭკვიანი და დინჯი ახალგაზრდაა, ამასთან ძალიან წესიერი და უბოროტო.

— კიდევ რამეს ხომ არ გაიხსენებდით საგულისხმოს?

— არა.

— გაეცანი შენს ჩვენებას და ხელი მოაწერე.

პატიმარმა დინჯად ჩაიკითხა თავისი ჩვენება, ხელი მოაწერა, დაათარიღა და დაეჭვებული გამომეტყველებით მიმართა:

— უფროსო ბატონო, მე ვიცი რომ ცუდად მოვიქეცი, ვიცრუე, როგორც წინასწარი გამოძიებისას, ისე სასამართლო პროცესზეც, მარა როგორც უკვე გითხარით დიხამინჯიების მსხვერპლი გავხდი... თქვენ, როგორ ფიქრობთ ვითომ ეშველება ჩემს საქმეს რამე?

— თუმცა შენ ამას არ იმსახურებ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ვეცდები რამე მოგიხერხო.

— მაშ ასე, დღეს ამით დავამთავროთ ჩვენი საუბარი, — თქვა მაიორმა, წამოდგა, კაბინეტის კარი გაალო და მილიციელი იხმო.

...საღამოს ოთხ საათზე ოთარ ხომერიკი ალექსანდრე ფანცხავას ეზოს ჭიშკარს მიადგა. მას ალექსანდრე გამოეგება, ხელი ჩამოართვა და ოჯახში მიიპატიჟა. მწვანედ გადაბიბინებული ეზო გაიარეს და კიბის საფეხურებს შეუყვნენ.

— მობრძანდით ბატონო ოთარ, მობრძანდით — თავაზიანად მიმართა ალექსანდრემ და განაგრძო:

— თქვენს შესახებ მე უკვე მაცნობეს. აქეთ შემობრძანდით. მეორე ოთახის კარი შეაღო და სტუმარს შეუძღვა. აი ეს იქნება თქვენი საწოლი ოთახი. ნათელი ოთახია, თუმცა ერთი ნაკლიც აქვს. ეს ნაკლი კი ის გახლავთ, რომ ჩრდილოეთის სარკმელები სასაფლაოს გადაჰყურებს, რაც ყოველთვის რაღაც არასასიამოვნო შეგრძნებას იწვევს ადამიანებში, სამხრეთით ცალკე შემოსასვლელი კარი აქვს ამ ოთახს, ისე, რომ შეგიძლიათ ცალკე კარით ისარგებლოთ. საპირფარეშო და სხვა დამხმარე სათავსოები თქვენი ოთახის მარცხენა მხარესაა განლაგებული ოთახში. თავი ისე შეგიძლიათ იგრძნოთ, როგორც საკუთარ ოჯახში. ეს თქვენი ოთახის და სამუშაო მაგიდის უჯრის გასაღებები გახლავთ — თქვა ალექსანდრემ და გასაღებები გადასცა. ტელეფონი თქვენი საწოლის თავთან პატარა მაგიდაზეა. ტელევიზორსა და რადიოს თქვენ თავად შეამჩნევდით.

— გმადლობთ ყურადღებისათვის ბატონო ალექსანდრე, — უთხრა ოთარმა და ჰკითხა:

— რა არის თქვენს ქალაქში ახალი?

— მნიშვნელოვანი არაფერი ბატონო ოთარ.

— რა ისმის დიხამინჯიების შესახებ?

— დავით დიხამინჯია ისევ ტრესტის მმართველად მუშაობს, აქაურ ხალხთან კვლავ დიდი გავლენით სარგებლობს. თუმცა შვილის დაღუპვამ ძალზე მოტეხა, მაგრამ მაინც ამაყად უჭირავს თავი. მისი მეუღლე — თამარი ლოგინადაა ჩავარდნილი. თავად დავითი, ამ ბოლო დროს ღვინოს ეძალება, მაგრამ ამას სხვების თვალთა შეუმჩნევლად აკეთებს, ღამ-ღამობით თავის საკუთარ ოჯახში.

— ვინმე უცხო სტუმრები ხომ არ მოსვლიათ?

— უცხო არავინ შემინიშნავს, მხოლოდ მისი სამსახურის თანამშრომლები და ძველი მეგობრები აკითხავენ.

— გურამ რურუას შესახებ, ხომ არ შეგიტყვია რამე?

— გურამ რურუას საკავშირო ძებნამ ჯერჯერობით არავითარი შედეგი არ გამოიღო. ერთია, მხოლოდ, ხალხში ხმა დადის თითქოს გურამის მამა, ჭუტუ რურუა მოსაკლავად დასდევს დავით დიხამინჯიას, მაგრამ რა არის ამის მიზეზი ჯერ ზუსტად არ ვიცი.

— გასაგებია, თუ რაიმე შეიტყოთ ახალი ამ საქმის შესახებ მაშინათვე შემატყობინეთ.

— აუცილებლივ შეგატყობინებთ. ვივახშმოთ ბატონო ოთარ.

— არა მე უკვე მოვასწარი ქალაქში წახემსება. ნამგზავრზე ყველაფერს დასვენება მირჩევნია, ხვალიდან კი უამრავი საქმეები გვაქვს გასაკეთებელი.

— როგორც გენებოთ, მოისვენეთ, ძილი ნებისა.

— ძილი ნებისა ბატონო ალექსანდრე.

ალექსანდრე ფანცხავამ საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა ოთარზე. ეს იყო ორმოც წელს მიღწეული დაკუნთული მამაკაცი, მაგრამ ხუჭუჭა თმები უფრო ახალგაზრდის შეხედულებას აძლევდა ვიდრე თავად იყო. იგი ძალზედ მორიდებული იყო, შეიძლება სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მეუღლე არ ჰყავდა.

●

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

დასაწყისი იხ. „მებრძოლი გუშაგი“ № 47-49.

გ. თოფურია

## განსხვავებული ცრემლები

---

## მიხეილ მესხის სახელობის ტურნირზე

**თბილისში** ჩატარდა ვეტერან ფეხბურთელთა პირველი საერთაშორისო ტურნირი მინი-ფეხბურთში მიხეილ მესხის პრიზზე. თავიდან გუნდები დაყოფილი იყვნენ ორ ჯგუფად. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის და მოსკოვის დინამოელები. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 4:1 და მთავარი პრიზის, მიხეილ მესხის ოქროს „გრან-პრის“ პირველი მფლობელები გახდნენ.

ტურნირის ბოლო დღეს გაიმართა მატჩი, რომელიც ტაშკენტის შეხვედრის თავისებური გამეორება იყო. მოედანზე სხვებთან ერთად ვიხილეთ მიხეილ მესხიც.

ტურნირში გამარჯვებულ უფრო „ახალგაზრდა ვეტერანებს“ გადაეცათ აგრეთვე ფულადი ჯილდოც — 12 ათასი მანეთი. საპრიზო ადგილებზე გასულმა გუნდებმა თასებთან ერთად მიიღეს შესაბამისად 8, 6, 4 ათასი მანეთის პრემია. გარდა ამისა, ტურნირის მონაწილე თითოეულმა გუნდმა მიიღო ჰონორარი სამი ათას ოთხასი მანეთის რაოდენობით. შეჯიბრების ორგანიზატორებმა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკურმა საბჭომ, სპონსორებმა — კოოპერატივმა „ოპიზარმა“, თბილისის სპორტნაწარმის ექსპერიმენტულმა ფაბრიკა „ადიდასმა“, საკონსერვო ქარხანა „ლილომ“ სამახსოვრო პრიზები გადასცეს ამ დაუვიწყარი სპორტული სპექტაკლის მონაწილეებს. იუბილარმა კი საჩუქრად მიიღო ავტომობილი „ვოლგა“.

---

ინდექსი 66689

НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064, УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72; 99-1-41-24.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380064; გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები: 95-66-72; 99-1-41-24.

რედაქტორი ა. კობალაძე

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშტარიას 29.

უე 13648